



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციული მართვის მექანიზმების კვლევა



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მართვის მექანიზმების კვლევა და ჩატარდა 2023 წლის შემოდგომის სემესტრში, კვლევა ჩატარა სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურმა ხოლო დასკვნებზე იმუშავა შიდა აუდიტის სამსახურმა.

კვლევის მიზანი: ადმინისტრაციული მართვის მექანიზმების ეფექტიანობის დადგენა

კვლევის ამოცანები:

რაოდენობრივი კვლევის საშუალებები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მიღება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს უნივერსიტეტის მართვის მექანიზმები შემდეგი მიმართულებებით:

- სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა
- უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების ცოდნა
- საქმეების სწორი დელეგირება
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველას ჩართულობა
- საქმისწარმოების დოკუმენტების ღიაობა
- ნათლად გაწერილი უფლება-მოვალეობები
- გარვევით გაწერილი პროცედურები და წესები
- სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების სწორი გადანაწილება
- სწორი იაერარქიული სისტემა
- კარიერული წინსვლის სისტემა

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის ერთობლიობა- 47 რესპონდენტი რაც დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის საერთო რაოდენობის 56% პროცენტია.

ძირითადი დასკვნები:

- სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა კარგად ხორციელდება, ისინი პეროდულად ერთად განიხილავენ პრობლემებს,


თუმცა კვლევაში მონაწილე პირების გარკვეული ნაწილი მეტწილად ეთანხმება ამ მოსაზრებას, ამიტომ საჭიროა კიდევ ერთხელ გამახვილდეს ყურადღება თანამშრომლებთან პრობლემების გადაჭრის პროცესში გუნდური მუშაობის პრინციპის ეფექტურობაზე.

- პერონალი იცნობს უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს
- პერსონალის უმრავლესობის აზრით საქმეები სწორადაა დელეგირებული, მცირე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საქმეები სწორად არ არის გადანაწილებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალის ნაწილი კარგად არ იცნობს მართვისა და დელეგირების წესს და საჭიროა ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება.
- გადაწყვეტილების მიღებაში უმრავლესობა მონაწილეობს, პერონალის გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ მეტწილადაა ჩართული. როგორც მოგეხსენებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გარკვეულ ეტაპებს მოიცავს, უმნიშვნელოვანესი ეტაპია გამოკითხვის მასალების ანალიზი, სწორედ პერსონალის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ხდება მენეჯმენტის მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება, აქედან გამომდინარე ეს მაჩვენებელი (36,2%) იმას კი არ მიუთითებს, რომ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ, არამედ კარგად არ აქვთ გააზრებული რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მიერ გამოკითხვის დროს გამოთქმული მოსაზრებები გადამწყვეტია.
- საქმისწარმოების დოკუმენტები პერსონალისთვის ხელმისაწვდომია
- უფლება-მოვალეობები პერსონალის უმეტესობისთვის ნათელი და გასაგებია თუმცა 19.6% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, აქედან გამომდინარე უმჯობესია გადაიხედოს თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, პერსონალს ვთხოვოთ მოგვაწოდოს შენიშვნები და მასზე დაყრდნობით გადახალისდეს დებულებები.
- წესები და პროცედურები პერსონალის უმრავლესობისთვის გარკვევითაა გაწერილი თუმცა მაინც რჩება გარკვეული ნაწილი ვინც ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ეთანხმება ამიტომ რეკომენდირებულია ინფორმაცია პროცედურებზე და წესებზე სხვადასხვა ფორმითა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით მიეწოდოს პერსონალს
- სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები სწორადაა გადანაწილებული
- არსებობს სწორი იერარქიული სისტემა


- კარიერული წინსვლის სისტემას მეტ-ნაკლებად იცნობს პერსონალი, საჭიროა კიდევ ერთხელ გაზიარდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

შედეგები


1 ქულა - არ ვეთანხმები / 2-4 ნაწილობრივ ვეთანხმები / 5 სავსებით ვეთანხმები




გამოკითხულთა 68.1% აცხადებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად პერიოდულად ხდება პრობლემებზე მსჯელობა, 27.7 % ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას



გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა იცნობს სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.




გამოკითხულთა 66% ამბობს, რომ შესარულებელი საქმეები ადეკვატურადაა დელეგირებული, ნაწილობრივ ეთანხმება ამ დებულებას 29.8%




55.3 ეთანხმება მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა თანამშრომელი მონაწილეობს, 36,2% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მომზადებულია თვალსაჩინოდ
47 responses




თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია გასაგებად
46 responses




გამოკითვულთა 78.3% აფიქსირებს, რომ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია გასაგებად, 19,6% აცხადებს რომ ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას

პროცედურები / წესები გაწერილია გარკვევით
47 responses



72.3 % აცხადებს, რომ პროცედურები/წესები გაწერილია გარკვევით, 25.5% მეტწილად ეთანხმება ამ წინადადებას.


სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები განაწილებულია სწორად
47 responses



76,6 % აფიქსირებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები სწორადაა გადანაწილებული, 19,1% მეტწილად ეთანხმება ამ დებულებას

ჩამოყალიბებულია მოქნილი იერარქიული სისტემა


47 responses



59,6% აცხადებს, რომ იერარქიული სისტემა მოქნილია, 31,9% მეტწილად ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო 8,5 პროცენტი-მეტ-ნაკლებად.

შემუშავებულია კარიერული წინსვლის სისტემა

46 responses



დანართი 3

დანართი 3 ადმინისტრაციული მართვის მექანიზმი					
გთხოვთ, 5 ქულიანი სისტემით შეაფასოთ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა 1 ქულა - არ ვეთანხმები / 2-4 ნაწილობრივ ვეთანხმები / 5 სავსებით ვეთანხმები					
შეკითხვა	შეფასება				
	1	2	3	4	5
სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებთან პერიოდულად განიხილავთ გარკვეული ტიპის პრობლემებს					
იცნობთ სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს					
შესასრულებელი საქმეები ადექვატურადაა დელეგირებული					
გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა თანამშრომელი მონაწილეობს					
საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მომზადებულია თვალსაჩინოდ					
თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია გასაგებად					
პროცედურები / წესები გაწერილია გარკვევით					
სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები განაწილებულია სწორად					
ჩამოყალიბებულია მოქნილი იერარქიული სისტემა					
შემუშავებულია კარიერული წინსვლის სისტემა					